

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ ივლისი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ბაღის I შესახვევის №3-ის მიმდებარედ არსებული 720.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ბაღის I შესახვევი №3-ის მიმდებარედ არსებული 720.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.34.25.974) შპს „BWC“-სათვის (ს/ნ 245622982) პირდაპირი განკარგვის წესით, 01 წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, სასტუმროს მშენებლობის პერიოდში გამოსაყენებლად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს წელიწადში 23 000 (ოცდასამი ათასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება შპს „BWC“ (ს/ნ 245622982) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაეცეს იმ პირობით, რომ იგი შეინარჩუნებს სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე არსებულ ხე-მცენარეებს და სარგებლობის ხელშეკრულების დასრულებიდან 3 თვის ვადაში ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-სთან შეთანხმებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, ბაღის I შესახვევი №3-ის მიმდებარედ არსებული 720.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.34.25.974) მოაწყობს სკვერს (დასასვენებელი საზოგადოებრივ პარკს) რაშიც განახორციელებს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციას.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ბაღის I შესახვევი №3-ის მიმდებარედ არსებული 720.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N10/1421193266-14, 12.07.2021 წ; მომართა შპს „BWC“-ს წარმომადგენელმა ვაჟა დევამემ, რომლითაც იგი ითხოვს ქ. ბათუმში, ბაღის I შესახვევი №3-ის მიმდებარედ არსებული 720.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.34.25.974) 01 წლით სარგებლობაში განკარგვას. განმარტავს, რომ ზემოთაღნიშნულ მისამართზე 05.34.25.106 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე აწარმოებს სასტუმროს მშენებლობას. სასტუმროს მშენებლობის პერიოდში სამშენებლო მიზნებისათვის გამოიყენებს მოთხოვნილ ტერიტორიას, ხოლო ხელშეკრულების დასრულების შემდგომ იღებს ვალდებულებას 3 თვის ვადაში მიწის ნაკვეთზე მოაწყოს დასასვენებელი პარკი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს „BWC“-ს (ს/ნ 245622982) განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ 05.34.25.106 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 01 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ბაღის I შესახვევი №3-ის მიმდებარედ არსებული 720.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.34.25.106). მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 23 000 ლარის ოდენობით. აუდიტის დასკვნა - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო, დასკვნა №003645921, 01.06.2021წ). მიწის ნაკვეთი სარგებლობაში გადაეცეს იმ პირობით, რომ იგი შეინარჩუნებს სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე არსებულ ხე-მცენარეებს და სარგებლობის ხელშეკრულების დასრულებიდან 3 თვის ვადაში ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-სთან შეთანხმებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, ბაღის I შესახვევი №3-ის მიმდებარედ არსებული 720.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.34.25.974)

მოაწყობს სკვერს (დასასვენებელი საზოგადოებრივ პარკს) რაშიც განახორცილებს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარისა ინვესტიციას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის კომერციულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით იჯარით სარგელობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 23 000 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე